პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 10 კაპ.

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნო—10—58, მთ. კანტორის—6—81.

ორშაბათი
23
ივლისი
1934 წ.
№ 169 (4025)

## დღის ნომერში

— საბჭოთა კავშირი მშვიდობიანობის სადარაჯოზე.
— მღელვარება მოიერიშეთა რიგებში.
— გერმანიაში ძლიერდება სამხედრო პროპაგანდა.
— ტარდიეს ბრძოლა დუმერგის კაბინეტის წინააღმდეგ მარცხით მთავრდება.
— დეკლარაცია ოკადას მთავრობის პოლიტიკის შესახებ.
— საკავშირო სახკომსაბჭოსთან არსებული საბჭოთა კონტროლის კომისიის მე-2 პლენუმის დადგენილებანი.
— მოსკოვში ჩამოვიდა ცნობილი [illegible]
— მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის გამომუშავების გეგმა 20 ივლისს შესრულდა 87,1 პროცენტით.

# ა.-კ. რკ. გზ. სახელოვან ადამიანთა შეკრება

დღეს ტფილისში იხსნება ამიერ-კავკასიის რკინისგზის სახელოვან ადამიანთა პირველი საგზაო შეკრება.

საუკეთესო დამკვრელნი იკრიბებიან ამიერ-კავკასიის ფედერაციის დედა-ქალაქში, რომ შეათანხმონ პარტიის და მთავრობის დადგენილებათა რეალიზაციისათვის ჩატარებული ბრძოლის შედეგები და დასახონ ღონისძიებანი ჩვენი რკინისგზის საუკეთესო მაგისტრალად გადაქცევისათვის.

რჩეული სტალინელები, რომელთა სახელი ნათელ შუქს ფენს ყოველ სადგურს და დეპოს, ქარხანას და სახელოსნოს, დისტანციას და საგუშაგოს, გადასცემს ერთმანეთს სახელოვანი ბრძოლისა და ბრწყინვალე გამარჯვების გამოცდილებას.

რით დაიმსახურეს მათ რკინისგზის სახელოვან ადამიანთა საპატიო სახელი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ არის ძნელი, თუ გავიხსენებთ იმ მიღწევებს, რომლითაც ა.-კ. რკინისგზა ამ ორიოდე კვირის წინათ შეხვდა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს ისტორიული დადგენილების წლისთავს. **უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში ჩვენმა რკინისგზამ პირველად შეძლო ნავთისა და მშრალი ტვირთის გადაზიდვის გეგმის შესრულება.** ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ვაგონების და ცისტერნების ბრუნვაში მან პირველად მიაღწია გარკვეულ გარდატეხას.

ტვირთზიდვის გეგმის შესრულების მხრივ საბჭოთა კავშირის ყველა გზათა შორის ჩვენმა ნავთის მაგისტრალმა მეორე ადგილი დაიკავა.

ამ ბრწყინვალე გამარჯვებას რკინის გზამ მიაღწია სწორედ იმ საუკეთესო ადამიანთა საშუალებითაც, რომლებიც დღეს იკრიბებიან ა.-კავკასიის რკინის გზის ცენტრალურ კვანძში.

საქ. კ.პ. (ბ) ლენინური შტაბი — მისი ც. კ-ი თავის ისტორიულ დადგენილებაში რკინისგზის ტრანსპორტის პოლიტგანყოფილებათა შესახებ, აღნიშნავდა რა ტრანსპორტის ჩამორჩენის მიზეზებს, პირდაპირ აყენებდა კითხვას—ვინ არის პასუხისმგებელი რკინისგზის ტრანსპორტის დეფექტებისათვის და იქვე იძლეოდა გარკვეულ ბოლშევიკურ პასუხს: „ცხადია, პასუხისმგებლობა უწინარეს ყოვლისა, და უმთავრესად, ეკისრებათ რკინისგზის ტრანსპორტის კომუნისტებს და უპარტიო აქტივისტებს დაწყებული თავიდან, ვიდრე ბოლომდე. კომუნისტები და უპარტიო აქტივისტები და მხოლოდ ისინი არიან მოწოდებული ხელმძღვანელობა გაუწიონ რკინისგზის ტრანსპორტს, ისინივე არიან პასუხისმგებელი მისი მოუწყობლობისა და მისი მუშაობის შეფერხებისათვის... რკინისგზის ტრანსპორტი ფართო გზაზე რომ გამოვიყვანოთ და აღმოვფხვრათ მისი ნაკლოვანებები, უნდა ავამაღლოთ მასში შეგნებული დისციპლინის და შრომითი შეჯიბრების სული, ბოლო უნდა მოვუღოთ ქარაფშუტობას და განვავითაროთ თვითეულ მუშაკში ქვეყნის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა; უნდა მივაღწიოთ იმას, რომ რკინისგზის ტრანსპორტი მუშაობდეს მკვეთრად და შეუფერხებლად, როგორც საათის მექანიზმი“.

პარტიის ამ დადგენილებებმა, რომელიც ნაკარნახევია მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის და დიდი მასწავლებლის სტალინის მიერ, ფეხზე დააყენა რკინისგზის პროლეტარიატი. მთავრობისა და პარტიის დაძახილს ტრანსპორტის მუშებმა სტალინური ლაშქრობით უპასუხეს. ამოძრავდა რკინისგზელთა შემოქმედებითი ნიჭი. გაჩნდენ რკინისგზაზე საუკუთარი იზოტოვები, რომლებმაც საზოგადოებრივი ზიზღი და სიძულვილი დაუპირისპირეს რკინისგზის მუშაობის დეზორგანიზატორებს, ტრანსპორტის აპარატის სიბეცეს, მოუქნელობას, ბიუროკრატიზმს.

**პირველი გაბედული ნაბიჯი გროზნოს დისპეტჩერმა ამხ. კუტაფინმა გადადგა.** მან დაუმტკიცა საბჭოთა კავშირის რკინისგზელებს, თუ რას შეიძლება მიაღწიოს ტრანსპორტიომა, როდესაც იგი თავის მუშაობაში მტკიცედ იცავს გეგმიანობას, როდესაც კეთილსინდისიერად ეპყრობა თავის მოვალეობას.

ა.-კ. რკინისგზელთა მოწინავე რაზმმა მთელი გულისყური მიაპყრო გროზნოელ დისპეტჩერს. ყველა ფესიაში დაიწყო კუტაფინების მასობრივად გამომჟღავნება. მემანქანეებმა მოგვცეს — **ფსუტური და დემეტრაძე**, დისპეტჩერებმა — **ჩანკვეტაძე და კანკოვი**, შემკეთებელმა მუშებმა — **ბარბაქაძე და მაკარაშვილი**, ლიანდაგის მუშებმა — **ქუმსიაშვილი და ჭოჭიკაშვილი**, სადგურებმა წამოსწიეს წინ საუკეთესო ტექნიკური ძალა ამხ. ვ. კიკნაძისა და სხვათა სახით.

მათ გაიარეს სოციალისტური შეჯიბრების მაღალი სკოლა.

თვითეულმა მათგანმა კონკრეტულ გარკვეულ ფრონტზე მიაღწია ბრწყინვალე გამარჯვებას. მათ ინიციატივას ხელი ჩასჭიდეს და წარმართეს პარტიამ და პოლიტგანყოფილებებმა. საუკეთესო იზოტოველები გადაიქცენ პარტიის ნამდვილ ცოცხალ ძალად რკინისგზაზე. ხელმძღვანელობის გაუმჯობესებამ, შრომის დისციპლინის განმტკიცებამ ძირეულ რგოლებში, ყურადღების გამახვილებამ სადგურის მიმართ, სოცშეჯიბრებამ და სტალინურმა დამკვრელობამ შეაძლებინა ამიერ-კავკასიის რკინისგზას ტვირთზიდვის მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

გზამ უკეთ დაიწყო მუშაობა. სადგურები და ვაგზლები მოდიან წესრიგში; გაუმჯობესდა მგზავრთა მომსახურება; ყველა ამ საქმეში დიდი წილი უდევს ა.-კ. რკინისგზის სახელოვან ადამიანებს.

ამიერ-კავკასიის საგზაო შეკრებაზე ეს სახელოვანი ადამიანები იმისთვის კი არ იკრიბებიან, რომ ერთმანეთს დაფნის გვირგვინი შესთავაზონ, ან ქება შეასხან. არა: **თვითკმაყოფილებისათვის საბაბი არ არსებობს** პირიქით, ჩვენს გზაზე კიდევ ბევრი ჩამორჩენილი უბანია. ერთ-ერთ მთავარ უბანს კი მატარებლის მოძრაობის უშიშროება წარმოადგენს.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ავარიების შემთხვევებმა არამც თუ იკლო, პირიქით, მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. მოძრავი შემადგენლობა, არამზადების წყალობით, ჯერ კიდევ გამოდის რიგებიდან. **სახელოვანმა ადამიანებმა უნდა გამოიმუშავონ კონკრეტული ღონისძიებები შრომის რკინისებური დისციპლინის განსამტკიცებლად ტრანსპორტის ყველა რგოლში.** უამისოდ ამიერ-კავკასიის რკინისგზა ვერ შესძლებს შემოდგომა-ზამთრის გადიდებული ტვირთზიდვის ამოცანათა შესრულებას.

კიდევ მრავალ კონკრეტულ ღონისძიებებს გამოიმუშავებს დღეს სახელოვან ადამიანთა საგზაო შეკრება. ეს ღონისძიებები საფუძვლად დაედება ამიერ-კავკასიის რკინისგზის მუშაობის შემდგომ გაჯანსაღებას.

ამ ღონისძიებებს ელის რკინისგზის ყოველი პატიოსანი მუშაკი.

მაშ, ვუსურვოთ სახელოვანთა საგზაო შეკრებას ნაყოფიერი მუშაობა ა.-კ. რკინისგზის ტრანსპორტის სრული გაჯანსაღებისათვის.

# საბჭოთა კავშირი მშვიდობიანობის სადარაჯოზე

## ამხ. მ ისკი ვანსიტარტთან

**ლონდონი**, 21 ივლისი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. **მაისკიმ** აცნობა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს **ვანსიტარტს**, რომ საბჭოთა მთავრობა არ არის წინააღმდეგი გაფართოვდეს განზრახული საფრანგეთ—საბჭოთა კავშირის პაქტი უშიშროების ურთიერთი გარანტიის შესახებ ამ პაქტში გერმანიის შეყვანით. ამგვარად საბჭოთა მთავრობა უზრუნველყოფდა გერმანიის დასავლეთ საზღვრებს და საფრანგეთის აღმოსავლეთ საზღვრებს, საფრანგეთის მთავრობა უზრუნველყოფდა გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრებს და საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვრებს, ხოლო გერმანია უზრუნველყოფდა საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვრებს და საფრანგეთის აღმოსავლეთ საზღვრებს. (ადს).

# „გერმანიისათვის მძიმე დრო ახლოვდება“

## (ტელ. „პრავდის“ ლონდონელი კორესპონდენტისგან)

**ლონდონი**, 21 ივლისი. როგორც ბერლინიდან იტყობინებიან, გერმანიაში კვლავ აკრძალეს მთელი რიგი ინგლისური გაზეთები. ბერლინის ისტორიაში პირველად მოახდინეს გაზეთ „ტაიმსის“ კონფისკაცია. ინგლისის პრესა აღნიშნავს, რომ ეს ზომები წარმოადგენენ ამაო ცდას დაფარონ საქმეთა ნამდვილი ვითარება გერმანიაში.

ინგლისურ წრეებში არსებობს მტკიცე რწმენა, რომ „გერმანიისათვის ახლოვდება უეჭველად მძიმე დრო“, რომლის პერსპექტივები გაურკვეველია. „მორნინგ პოსტი“ იტყობინება, რომ ბერლინში უკვე დაბეჭდილია სასურსათო ბარათები, რომ საქმე არ შეფერხდეს, როცა მათი შემოღება საჭირო იქნება.

ამავე დროს პრესა აღნიშნავს, რომ მთელს გერმანიაში ძლიერდება სამხედრო პროპაგანდა, რათა მოსახლეობის ყურადღება ჩამოაშორონ მძიმე საშინაო მდგომარეობას. ეს პროპაგანდა განსაკუთრებით ძლიერია პატარა პროვინციულ ქალაქებში. გერმანიის ფაშიზმი დაჟინებით ჩააგონებს წვრილბურჟუაზიულ მასებს აზრს ახლო მომავალში ომის აუცილებლობის შესახებ.

როგორც „მანჩესტერ გარდიანი“ აღნიშნავს, ულმის რაიონში გაამლიერეს გარნიზონი და დადგეს მძიმე გაუბიცები. სილეზიაში მოიერიშეებს გაგებული აქვთ, რომ მოსალოდნელია ომი საფრანგეთთან, და რომ ისინი მალე გადაყვანილი იქნებიან რეინის ოლქში. „ალექსიუს“ — შულეში ამას წინათ გამართულ საინსტრუქტორო კურსებზე მოიერიშეებს ჩააგონებდენ, რომ საფრანგეთთან ომი აუცილებელია, რომ საფრანგეთი დამარცხდება და გერმანია შეძლებს ამის შემდეგ ანგარიში გაუსწოროს ჩეხია-სლოვაკიას, ავსტრიას და პოლონეთს; რომ გერმანულ ენაზე მოლაპარაკე ყველა ხალხი უნდა გაერთიანდეს დიდ გერმანიაში, რომელიც გახდება კოლონიალური იმპერია“ (ადს).

# მღელვარება მოიერიშეთა რიგებში

**ნიუ-იორკი**, 21 ივლისი. მთელი რიგი გერმანელი კორესპონდენტები გაკვრით აღნიშნავენ, რომ უახლოეს მომავალში შესაძლებელია მოხდეს დიდი პოლიტიკური ცვლილებანი. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იტყობინება, რომ მღელვარება მოიერიშეთა შორის გამოხატულებას პოულობს საბოტაჟის ფაქტებში და, კერძოდ, თვითმფრინავების ქარხნებისათვის ცეცხლწაკიდების მთელ რიგ შემთხვევებში.

„ნიუ-იორკ ივნინგ პოსტი“ აქვეყნებს ინფორმაციას გერმანიის მდგომარეობის შესახებ დიდი სათაურით — „**მთავრობას ახალი რევოლუციისა ეშინია**“, „**მოიერიშენი საომრად იწვევენ რეიხსვერს**“ და სხვ. (ადს).

# ტელმანის სიცოცხლე უდიდეს საფრთხეშია

**ლონდონი**, 21 ივლისი. გერმანიაში მძვინვარე ტერორის მსხვერპლთა დამხმარე კომიტეტის წარმომადგენლებმა — **ელენ ვინკინსონმა და სტრეჩიმ**, რომლებიც გერმანიიდან ჩამოვიდენ, განაცხადეს, რომ იუსტიციის სამინისტროსა და პროპაგანდის სამინისტროში მათ აცნობეს, რომ **ტელმანის** გასამართლება მოხდება არა უადრეს სექტემბრისა. ვილკინსონმა აღნიშნა, რომ ტელმანს და სხვა პატიმრებს, რომლებიც მასთან ერთად იქნებიან გასამართლებული, საეჭვოა მისცენ უფლება აირჩიონ დამცველები ანდა გაეცნონ საბრალდებლო ოქმის ასლს.

საარის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადმა **ტომასმა**, რომელიც გერმანიიდან ჩამოვიდა ლონდონში, განაცხადა, რომ მან **ნახა** ტელმანი. ტომასმა აღნიშნა, **რომ ტელმანის სიცოცხლე უდიდეს საფრთხეშია** და რომ საჭიროა მის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობა მიიღონ ფართო **მასებმა**. შეეხო რა მთლიანი ფრონტის შექმნას საარში, აგრეთვე საფრანგეთში, ტომასმა მიმართა ინგლისის მუშებს მოწოდებით მოაწყონ მთლიანი ფრონტი ინგლისში (ადს).

# ოკადას მთავრობის პოლიტიკა

**ტოკიო**, 21 ივლისი. გამოქვეყნდა მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დეკლარაცია ოკადას მთავრობის პოლიტიკის შესახებ. დეკლარაციაში აღნიშნულია თავდაცვის გაუმჯობესების აუცილებლობა. იაპონიის პოლიტიკის ძირითად პრინციპს 1935 წლის საზღვაო კონფერენციაზე წარმოადგენს უშიშროების უზრუნველყოფის სამართლიანი და გონივრული პოლიტიკა. საერთაშორისო ურთიერთობათა დარგში იაპონიას სურს განახორციელოს პოლიტიკა სახელმწიფოებთან მეგობრობის დაცვის წესით. საშინაო პოლიტიკის დარგში მთავრობა შეეცდება გაწმინდოს პოლიტიკური ცხოვრება, გააძლიეროს დისციპლინა სახელმწიფო აპარატში, უზრუნველყოს კონსტიტუციური მართვა-გამგეობა, წაახალისოს ეროვნული სული და ებრძოლოს საზიფათო აზრებს. მთავრობა ამოცანად ისახავს ხელი შეუწყოს მანჯოუგოს განვითარებას ურთიერთი კეთილდღეობის და შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობის დამყარების ლოზუნგით. დეკლარაციაში, სხვათა შორის, ხაზგასმულია — რომ იაპონია დგას „უდიდეს სიძნელეთა წინაშე საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფინანსების, ეკონომიკის და იდეოლოგიის დარგში“ (ადს).

# ურნა ამხ. დოვგალევსკის ნეშთით ჩამოასვენეს მოსკოვში

**მოსკოვი**, 21 ივლისი. 21 ივლისს მოსკოვში ჩამოასვენეს ურნა ამხ. დოვგალევსკის ნეშთით. პარიზიდან ურნას მოჰყვებიან განსვენებულის ოჯახი და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველი პარიზში ამხ. **გირშფელდი**.

ნეგოროელოესა და მინსკში მატარებელს შეხვდენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის და ბელორუსიის მთავრობის წარმომადგენლები. ამხ. დოვგალევსკის ნეშთს სამხედრო პატივი სცეს.

მატარებლის მოსვლის დროს ნეშთის შესახვედრად ბელორუსია-ბალტიის სადგურზე მოვიდენ: საბჭოთა კავშირის ცაკის მდივანი ამხ. **ენუქიძე**, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. **ლიტვინოვი**, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. **როზენგოლცი**, კავშირგაბმულობის სახალხო კომისარი ამხ. **რიკოვი**, სრულიად რუსეთის ცაკის მდივანი ამხ. **კისელიოვი**, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეები ამხ. **კრესტინსკი** და ამხ. **სტომონიაკოვი**, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლები: სპარსეთში — ამხ. **ტუხოვი** და ფინეთში — ამხ. **შტეინი**, დამკრძალავი კომისიის წევრები, საბჭოთა კავშირის ცაკის, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის, კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის და სხვ. ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები და სხვ. გამოცხადდენ აგრეთვე: დიპლომატიური კორპუსის მამასახლისი, იტალიის ელჩი ბ-ნი ბ. **ატოლიკო**, ავღანეთის ელჩი **აბდულ ჰუსეინ ხან აზიზი**, საფრანგეთის საქმეთა რწმუნებული ბ. **პაიარი** საფრანგეთის საელჩოს მთელი შემადგენლობით, გერმანიის საქმეთა რწმუნებული ბ. **ფონ-ტვარდოვსკი** და იაპონიის და ამერიკის საელჩოების წარმომადგენლები.

11 საათსა და 40 წუთზე გამოჩნდა მატარებელი. მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს. სამგლოვიარო ვაგონში შედიან ამხ. **ლიტვინოვი, კისელიოვი, კრესტინსკი, სტომონიაკოვი** და სხვ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ურნა ვაგონიდან გამოაქვთ და გასასვლელთან მიაქვთ ამხ. ენუქიძეს, ლიტვინოვს, კისელიოვს, კრესტინსკის, სტომონიაკოვს, რიკოვს, განეცკის, პასტუხოვს, შტეინს და აროსევს. ურნას დგამენ სამგლოვიარო ავტომობილზე. ირგვლივ — **საპატიო ყარაული**.

სამგლოვიარო პროცესია მიემართება წითელი მოედნისაკენ, ცაკის შენობისაკენ. პროცესიას გზაში უამრავი ხალხი ხვდება. საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულმა და საელჩოს შემადგენლობამ ურნა მიაცილეს ცაკის შენობამდე.

ცაკის შენობაში, რომელიც სამგლოვიარო დროშებითაა მორთული, ურნა დადგეს პოსტამენტზე სხდომების დარბაზში. ურნასთან დგას საპატიო ყარაული. საპატიო ყარაულის პირველ ცვლაში დგებიან ამხ. ენუქიძე, ლიტვინოვი, კისელიოვი და კრესტინსკი. საპატიო ყარაული ყოველ ხუთ წუთში იცვლება.

# კონტროლი მართვა-გამგეობის განუყოფელი ნაწილია

## „პრავდას“ მოწინავე

საბჭოთა კონტროლის კომისიის მეორე პლენუმის დადგენილებანი, დამტკიცებული საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მიერ, რომლებიც დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება, აჯამებენ მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებასთან და ამხანაგ **სტალინის** მითითებებთან შეფარდებით საბჭოთა საკონტროლო ორგანოების გარდაქმნის პირველ შედეგებს.

საკონტროლო ორგანოების გარდაქმნაში ძირითადია ინსპექტირებისაგან პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლზე და შემოწმებაზე გადასვლა. აი რას ამბობდა ამხანაგი სტალინი მე-17 ყრილობაზე საბჭოთა კონტროლის ამოცანების შესახებ: „ჩვენ ახლა გვესაჭიროება არა ინსპექცია, არამედ ცენტრის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, — ჩვენ ახლა გვესაჭიროება ცენტრის გადაწყვეტილებათა შესრულების **კონტროლი**, ჩვენ ახლა გვესაჭიროება ისეთი ორგანიზაცია, რომელიც, არ დაისახავს რა ყველას და ყველაფრის ინსპექტირების უნივერსალურ მიზანს, შეძლებდა მთელი თავისი ყურადღების მიპყრობას მუშაობისათვის კონტროლის ხაზით, მუშაობისათვის საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალური დაწესებულებების გადაწყვეტილებათა შესრულების შესამოწმებლად“.

ეს მითითება გამომდინარეობდა იმ უდიდეს ცვლილებათა ანალიზიდან, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე მოხდა ჩვენი ქვეყნის მეურნეობაში, კლასების ძალთა განწყობილებაში, საბჭოთა აპარატის შემადგენლობასა და მუშაობის ხასიათში. სულ რამდენიმე წლის წინათ, როცა სამეურნეო მუშაობა ნაკლებად რთული და ნაკლებად დამაკმაყოფილებელი იყო, როცა აპარატი სამეურნეო და საბჭ. ორგანიზაციებში საგრძნობლად უფრო სუსტი იყო, ვიდრე ამჟამად არის, — ყველა სახალხო კომისარიატის, ყველა სამეურნეო ორგანიზაციის მუშაობის ინსპექტირების ამოცანა კანონზომიერი იყო. ამჟამად სხვა პირობებია, სხვანაირად დგას ამოცანა კონტროლის დარგშიც. ახიათასობით სპეციალისტები — მუშათა კლასის და მშრომელი გლეხის შვილები, რომელთაც მომზადება საბჭოთა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს, — ჩვენი სამეურნეო და საბჭოთა აპარატის ძირითად ხერხემალს შეადგენენ. სამეურნეო მუშაობა გაფართოვდა, იგი უფრო რთული გახდა. ცხადია, რომ ახლებურად დგას ამჟამად პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის და შემოწმების ამოცანა.

საბჭოთა კონტროლის კომისიის და მისი ადგილობრივი რწმუნებულების მუშაობის გამოცდილება მოწმობს, რომ ყრილობის შემდეგ გასულ პერიოდში მოხერხდა სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება. პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების სისტემატიურმა შემოწმებამ მრავალ შემთხვევაში ხელი შეუწყო დიდ ნაკლთა აღმოფხვრას ადგილობრივ მთელი რიგი საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობაში.

მაგრამ ეს საერთო, უეჭველად დადებითი, შედეგი არ ნიშნავს, რომ საბჭოთა კონტროლის კომისიის ადგილობრივი რწმუნებულების მუშაობაში არ იყოს ნაკლოვანებანი, რომ უკვე ყველას შეგნებული ჰქონდეს საბჭოთა კონტროლის სპეციფიკური ამოცანები, რომლებიც მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და ამხანაგ სტალინის მითითებებიდან გამომდინარეობენ. მხოლოდ იქ, სადაც საკონტროლო მუშაობა ნამდვილად გარდაიქმნა, სადაც ინსპექტირებიდან ოპერატიულ კონტროლზე გადავიდენ, — საბჭოთა კონტროლის კომისიის რწმუნებულებმა შესძლეს საგრძნობ წარმატებათა მიღწევა.

თავის გამოსვლაში საბჭოთა კონტროლის კომისიის პლენუმზე ამხ. კუიბიშევმა ამხილა ნაკლოვანებანი ადგილობრივ რწმუნებულთა მუშაობაში. ეს ნაკლოვანებანი აღნიშნულია აგრეთვე პლენუმის გადაწყვეტილებებში.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კონტროლის კომისიის ბევრი რწმუნებული ჯერ კიდევ ისწრაფვის კონტროლი გაუწიოს „ყველას და ყველაფერს“. ისინი ცდილობენ მოიცვან საკითხების ძალიან დიდი რაოდენობა. ამას შედეგად მოსდევს ზერელე ინსპექტირება, ის, რომ შესრულების კონტროლი და ნამდვილი შემოწმება არ არის უზრუნველყოფილი. საბჭოთა კონტროლის კომისიის რწმუნებულები ავალებდენ საბჭოთა ორგანიზაციებს გამოეგზავნათ მთავრობის მიერ დაწესებული მთელი პერიოდული ანგარიშგების ასლები. თითონ ეს მოთხოვნა მოწმობს მისწრაფებას „თვალყური ადევნონ“ ყველაფერს. ცხადია, რომ ასეთ „კონტროლს“ არაფერი აქვს საერთო ნამდვილ ამოცანებთან, რომლებიც დაეკისრა საბჭოთა კონტროლის რწმუნებულებს ადგილობრივ.

საკითხების სიმრავლე, რომლებსაც ზოგიერთი რწმუნებული ხელს ჰკიდებს, ძალიან ხშირად იწვევს იმას, რომ ისინი არ ამოწმებენ თავისივე გადაწყვეტილებათა შესრულებას. ასე, მაგალითად, საბჭოთა კონტროლის კომისიის რწმუნებულმა გორკის მხარეში 28 აპრილს წინადადება მისცა სამხარეო პროკურატურას სამი დღის ვადაში დაემთავრებია კვლევა-ძიება და სამართალში მიეცა ქარხანა „კრასნაია ეტნაში“ მდარე ხარისხის საქონლის დამზადებაში კონკრეტული დამნაშავენი. ეს მნიშვნელოვანი დადგენილება სამხარეო პროკურატურას არ შეუსრულებია. მაგრამ ეს ფაქტი გამოირკვა პირველ ივნისს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მუშებმა ხელმეორედ იჩივლეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ კონტროლის გახაწევ ორგანოებს მთლიანად — და პირველ რიგში მათ — ეხება პარტიის მითითება შესრულების გულდასმით შემოწმების აუცილებლობის შესახებ. უამისოდ კონტროლი მშრალ ბიუროკრატიულ მიმოწერად გადაიქცევა. საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულების შეუმოწმებლად საბჭოთა კონტროლის კომისიის ორგანოებს არსებითად არ შეუძლიათ ბრძოლა საბჭოთა დისციპლინისათვის.

გადაჭრით და შეუპოვრად მიიყვანონ თვითეული საქმე ბოლომდე — მხოლოდ ამ პირობით იდგმება საკონტროლო ორგანოების ავტორიტეტი სათანადო სიმაღლეზე, მხოლოდ ამ გზით შეიძლება ბოროტი ბიუროკრატების და კანცელარისტების აღმოჩენა.

საბჭოთა კონტროლის კომისიის პლენუმი საჭიროდ სთვლიდა აღენიშნა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში კონტროლის გასაწევი ორგანოები ცდილობდენ გამოეყენებიათ საბჭოთა კონტროლის მუშაკები, როგორც „წამბიძგებლები“ და შუამდგომელნი თავის საქმეებზე. ბიუროკრატი, „ჩინოვნიკი“ ცდილობს თავი დაიცვას იმით, რომ იგი „სიგნალს იძლეოდა“, რომ იგი „წერდა“. ამით იგი ცდილობს თავიდან მოიხსნას პასუხისმგებლობა დეფექტებისათვის, პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობისათვის.

სწორედ ამ დეფექტებთან დაკავშირებით, საბჭოთა კონტროლის კომისიამ დაავალა რწმუნებულებს უახლოეს პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას და კონტროლს (მარცვლეულის და ხორცის ჩაბარების გეგმის შესრულება, ახალგაზრდა პირუტყვის შენარჩუნება და გამოზრდა, მომზადება შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვისათვის).

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საბჭოთა კონტროლის კომისიის რწმუნებულებთან არსებულ საჩივართა ბიუროების მუშაობა.

საბჭოთა კონტროლის კომისიის პლენუმზე აღნიშნული იყო საჩივართა ბიუროების სუსტი, ხოლო მრავალ შემთხვევაში არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ადგილებზე. მაგალითად, გორკის მხარის რწმუნებულთან არსებულ საჩივართა ბიუროში 1 მარტიდან 20 ივნისამდე შემოსულ 1,213 საჩივრიდან განხილული იყო მხოლოდ 358 საჩივარი. ეს იმას მოწმობს, რომ საბჭოთა კონტროლის კომისიის რწმუნებულებთან არსებულ საჩივრების ზოგიერთ ბიუროებშიაც კი არასაკმაო გულისხმიერებით ეკიდებიან მშრომელთა საჩივრებს. ამავე დროს საბჭოთა კონტროლის ორგანოების საჩივართა ბიუროებმა არა თუ თვითონ უნდა იმუშაონ სანიმუშოდ, არამედ უნდა ებრძოლონ კიდეც საქმის გაჭიანურებას და ბიუროკრატიზმს სხვა ორგანოების მიერ საჩივრების განხილვის დროს. სწორედ ამიტომაა საჭირო დიდი ყურადღების მიქცევა მათი მუშაობისათვის. რწმუნებულებმა ზუსტად უნდა შეასრულონ საბჭოთა კონტროლის კომისიის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ არც ერთი საჩივარი არ უნდა დარჩეს პასუხის გაუცემლად. საბჭოთა კონტროლის ორგანოები ყოველნაირად უნდა იბრძოდენ სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის მიერ საჩივრების განხილვის წესების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის. აგრეთვე უაღრესად დროულია გავიგონოთ ამხ. **კაგანოვიჩის მითითება**: „საჭიროა არა მარტო მსოფლიო საქმეების კეთება, არამედ ყურადღება უნდა მიექცეს თვითეული მუშის, მოსამსახურის ან მოსწავლის საჭიროებებსაც“.

საჩივრების ყურადღებით განხილვა და შესწავლა, მათი განზოგადოება არა მარტო საშუალებას მისცემს კონტროლის ორგანოებს აღმოაჩინონ სერიოზული დეფექტები და გამრუდებანი საბჭოთა და სამეურნეო აპარატის მუშაობაში, არამედ საჩივართა ბიუროებს გადააქცევს სერიოზულ ბერკეტად საერთო მუშაობაში პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისა და შემოწმების ხაზით. საბჭოთა კონტროლის ორგანოები მხოლოდ ამ გზით შეასრულებენ უმნიშვნელოვანეს ამოცანას — ყველა საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში, შესრულების შემოწმების ნამდვილი ბოლშევიკური მეთოდების დანერგვის ამოცანას.

შ. ალავერდაშვილი

შირაქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

# როგორ გავიმარჯვეთ



კომბაინის მუშაობა შირაქის მარცვლეულის საბჭ. მეურნეობაში

[illegible] საბჭოთა მეურნეობის თითოეული უბანი არ მოკლებოდა მტკიცე ოპერატიულ ხელმძღვანელობას. საათის მექანიზმივით უნდა აგვეწყო მთელი მუშაობა, რომ დროზე აღებული არ დაგვრჩენოდა შირაქის მარცვლეულის არცერთი თავთავი. თუ რამდენად სწორად გადავჭერით დაკისრებული ამოცანა, ამის შეფასება სხვებს ევალებათ.

19 ივლისი შირაქელების გამარჯვების დღეა. ნაცვლად გეგმით ნავარაუდევი 15 დღისა, მოსავალი ავიღეთ 10 დღეში. თვალუწვდენელი შირაქის ველი ბოლშევიკური შეტევით აღებულია, რადგან „არ არსებობს არცერთი ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღება ბოლშევიკებს არ შეეძლოთ“.

შირაქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა საკმაოდ კარგად მომზადებული შეხვდა მოსავლის აღებას. მთავარი როლი კომბაინების სწორად და სრული დატვირთვით გამოყენებას უნდა ეთამაშა. ჩვენ მოვაწყეთ კომბაინერთა მოსამზადებელი სამთვიანი კურსები, სადაც ახალგაზრდა კომბაინერებთან ტარდებოდა საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობა მინდვრის გეგმების რთული მექანიზმის დასაუფლებლად. ჯერ კიდევ ჯეჯილი ახლად ამოდიოდა, როცა სავსებით შეკეთებული კომბაინები და ტექნიკას დაუფლებული კომბაინერები მზად იყვნენ მოსავლის ასაღებად.

მაგრამ მარტო კომბაინი არ იყო საკმარისი. ყოველმხრივ მზად უნდა გვქონოდა მისი გამწევი ძალა—ტრაქტორი და მარცვლეულის გადამზიდავი საშუალება — ავტოტრანსპორტი. ზოგი მათგანი საფუძვლიან შეკეთებას მოითხოვდა. 15 მაისს დავამთავრეთ ყველა სამანქანო ერთეულის რემონტი. 8 ივლისს კი, შირაქის ველის მარცვლეულის ასაღებად დაირაზმა 76 კომბაინი, 98 ტრაქტორი, 43 ავტომანქანა და საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა მთელი პერსონალი.

შარშანდელთან შედარებით, შირაქიდან წელს გაცილებით მეტ მოსავალს ველოდით. არსებული საწყობები, რომელთა საერთო ტევადობა 620 ათას ფუთს უდრის, არ კმაროდა მიმდინარე მოსავლის შესანახავად. ჩვენ დამატებით ავაგეთ სამი ახალი საწყობი 150 ათასი ფუთი მარცვლეულის ტევადობით. შევაკეთეთ აგრეთვე ძველი საწყობები.

დროულად შევიძინეთ ზომიბი საწვავ-საცხები მასალის მარაგის შესავსებად, მუშათა მომარაგების გასაუმჯობესებლად და ყველა იმ სამუშაოთა წინასწარ ჩასატარებლად, რომელთა მოგვარებამ შემდეგ უზრუნველყო მარცვლეულის სწრაფად აღება შირაქის ველზე. მოსამზადებელ სამუშაოებიდან უმთავრესად აღსანიშნავია: მინდვრად გაფანტულ ბრიგადებისა და მათი ქვე-ბრიგადებისათვის კარავების მოწყობა, ელექტროსინათლის გაყვანა, ყველა სახის მანქანისათვის საწვავ-საცხები მასალის დაგროვება ადგილებზე, მოძრავი სასადილოს აგება, მეწველი ძროხების მიმაგრება ბრიგადებზე, გამწევი ძალის გამოყოფა წყლის მოსატანად და მთელი რიგი საჭირო ღონისძიებების წინასწარ განხორციელება.

ფართო მუშაობა ჩავატარეთ სოციალისტური შეჯიბრების გასაშლელად. ყველა ბრიგადა და ქვებრიგადა ერთმანეთს იწვევდა მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებაში. იმდენად დიდი და ენტუზიაზმით სავსე იყო შეჯიბრების ტალღა, რომ შედარებით უფრო ჩამორჩენილი ბრიგადა თაკილობდა საზოგადოებრივ ბუქსირზე აყვანას და მთელი ენერგიით ცდილობდა მოწინავეებთათვის ნაბიჯის გასწორებას საკუთარი ძალების მობილიზაციით. სწორედ ამ შეჯიბრების და მეურნეობის მთელი სამკუთხედის ნამდვილი ოპერატიული ხელმძღვანელობის შედეგია ის ფაქტი, რომ ათი დღის განმავლობაში კომბაინებით დავიპყარით შირაქის ეგზოტიკური ველი.

თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენს ძირითად ამოცანას მოსავლის უდანაკარგოდ და სწრაფად აღება შეადგენდა. ბოლშევიკური ტემპების გაშლით ჩვენ მოსავალი დროზე ავიღეთ, რაც შეეხება დანაკარგებს, ამ მხრივაც თავიდანვე იყო მიღებული ყველა საჭირო ღონისძიება მათ მინიმუმამდე შესამცირებლად. თვითეულ კომბაინს მივამაგრეთ სამ-სამი კაცი, რომლებიც ნამგლით მკიდენ და კონვეიერის აწოდებდენ მიწაზე დაცვენილ თავთავებს. დანაკარგებთან ბრძოლაში მეტად აქტიურად იბრძოდენ აგრეთვე პიონერები; ამჟამად დამატებით გამოვყავით 1.500 მუშა დაკვრითი სამდღიურის ჩასატარებლად, რომ არ დაგვეკარგოს სახელმწიფო პურის არცერთი თავთავი.

სოციალისტური მინდვრის დამკვრელებს არასოდეს არ დაავიწყდებათ 8 ივლისი, როცა 76 კომბაინი ერთბაშად შეეტაკა შირაქის ველის დამწიფებულ მარცვლეულს. ექვსივე ბრიგადა გეგმით მიცემულ ნაკვეთებზე იდგა. არცერთ მათგანს დაბლა არ დაუხრია სოციალისტური შეჯიბრების დროშა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თვითეული ბრიგადა და ქვე-ბრიგადა მოსავალს იღებდა სწორედ იმ ნაკვეთზე, რომელიც მან მოხნა და დათესა შემოდგომა-გაზაფხულის თესვის კამპანიების ჩატარების პერიოდში. ძალთა ამგვარად განაწილებამ კიდევ უფრო გაზარდა თვითეული ბრიგადის პასუხისმგებლობა გეგმების შესრულებისადმი.

კომბაინების მუშაობამ ათი დღე გასტანა. 19 ივლისიდან შირაქის ველი უკვე გატიალებულ ნაპურალს წარმოადგენს. 43 ავტო-მანქანამ მთელი მოსავალი სოციალისტურ ბეღლებში მიზიდა. თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 13 ცენტნერი მარცვლეული. სულ დათესილი გვქონდა 11.750 ჰექტარი პური, ქერი, მზესუმზირა და ფეტვი. აქედან საგაზაფხულო ნათესების ფართობი უდრიდა 4.200 ჰექტ., და შემოდგომის — 7.550 ჰექტ., სავარაუდო გამოანგარიშებით შირაქიდან მიღებულია ერთ მილიონ ფუთამდე მარცვლეული.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ზოგიერთი ბრიგადის მართლაც თავდადებული მუშაობა, მაგალითად: **ლევან ნინოშვილის** ხელმძღვანელობით არსებულმა ბრიგადამ (მე-4 ბრიგადა), რომელსაც ასაღები ჰქონდა 2.100 ჰექტარი ფართობის მოსავალი, 9 დღეში დაამთავრა მთელი მუშაობა. მის განკარგულებაში იყო 16 კომბაინი, რომლის ნაწილი შემდეგ გადასროლილ იქნა სხვა ბრიგადებში.

[illegible] თობი. საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები მოგვცა და დამკვრელური მუშაობისათვის გარდამავალი დროშაც მიიღო კომკავშირულმა მე-6 ბრიგადამ **გიორგაძის** მეთაურობით. ამ ბრიგადამ, 8 დღის განმავლობაში, 6 კომბაინით აიღო მოსავალი 950 ჰექტარ ფართობზე.

როგორც მოყვანილი ციფრებით ჩანს, მუშაობის ტემპები საკმაოდ მაღალი და მართლაც ბოლშევიკური იყო. ცხადია ასეთი მიღწევები არ გვექნებოდა პარტკომკავშირული, პროფესიონალური და მთელი აგროტექნიკური პერსონალის ნამდვილი ოპერატიული ხელმძღვანელობის გარეშე. ყოველდღიურად 3—4-ჯერ გვიხდებოდა უხარმაზარ ველზე გაფანტულ ბრიგადებთან და ქვე-ბრიგადებთან მისვლა, რომ რაიმე შეფერხების შემთხვევაში, იქვე ყოფილიყო მიღებული სასწრაფო ზომები. ხელმძღვანელობის ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ მუდმივი მეთვალყურეობის გაწევით საათივით აგვეწყო თვითეული ბრიგადის მუშაობა ყოველგვარი ჩამორჩენის ძირშივე აღმოსაფხვრელად, თუ რამდენად შევასრულეთ ეს ამოცანა, ეს ფაქტებმა დაადასტურონ.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის მსმენელთა ფრიად ნაყოფიერი მუშაობა პარტუჯრედებში და მინდვრად. ჩვენს მეურნეობაზე მიმაგრებულმა 21 სტუდენტმა თავი ისახელა ყველა დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებით.

უდავოა, რომ მოსავლის აღების გადამწყვეტ დღეებში ჩვენ მრავალი დეფექტი გვექნებოდა, მაგრამ უდავოა ისიც, რომ მტკიცედ ვიდექით პარტიული ხაზის სადარაჯოზე სახელმწიფო მარცვლეულის აღებისა და მისი მოვლა-პატრონობის დარგში. აუცილებელია ჩვენი შემდგომი მუშაობის კიდევ უფრო გაფართოება და მაღალი ხარისხით წარმართვა. ჩვენი მორიგი ამოცანაა — კარგად მოვაწესრიგოთ მარცვლეულის სწრაფად გადმოზიდვა შირაქიდან და მთელი ძალღონით შევუდგეთ საშემოდგომო თესვის ბოლშევიკურად მომზადებას. ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ჩვენ შევასრულებთ ყველა ამ ამოცანას საქართველოს ლენინური კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მტკიცე ხელმძღვანელობის დროშის ქვეშ.

22 ივლისი

# დღეს იკრიბება ა/კ რკინიგზის სახელოვან ადამიანთა შეკრება



**ამიერკავკასიის ნავთის-მაგისტრალის სახელოვან ადამიანებს—სტალინური გაწვევის დამკვრელებს, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს ნავთის გადაზიდვის გეგმა და გვიჩვენეს ერთგულებისა, სიმამაცისა და გმირობის იშვიათი ნიმუშები პარტიისა და მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის ბრძოლაში—მხურვალე და ძმური სალამი**

*Знатным людям Закавказской нефтяной магистрали - ударникам сталинского призыва, успешно выполнившим полугодовой план нефтеперевозок, показавшим образцы преданности, доблести и геройства в борьбе за реализацию исторических решений ПАРТИИ и ПРАВИТЕЛЬСТВА - пламенный братский привет.*




## „ვაშა გიორგი"!



მატარებელი, რომ ავჭალის სადგურს გამოცდება, წყანჯარასთან დადექით და მარჯვნივ იყურეთ. გაივლით ხიდს, დატოვებთ რამდენიმე ქოხს რკინისგზის გასწვრივ, გასცდებით სემაფორსაც და მალე, სულ მალე წყალსადენში ამოჰყოფთ თავს. ეს არის პატარა ბაქანი სადგურ ავჭალასა და დიდუბეს შორის. იქ, პატარა თეთრი სახლია, ქვითკირის ღობით შემოღობილი, ღობე იცავს არა მარტო სახლს, არამედ ხეხილის პატარა ბაღსაც, — სიმინდის პატარა ყანას და პატარა ბოსტანს. ეს ჩემი კარმიდამოა. 12 წელიწადია, რაც აქაურობას შევეხიზნე, თუმცა მამაპაპისეულმა ქონებამ გაცილებით ადრე მიღალატა.

ვიტყვი მოკლედ. 20 წელიწადია ლიანდაგის დარაჯად ვმუშაობ, 1922 წელს კი ჩამაბარეს განსაზღვრული უბანი. ესაა რკინისგზის მთავარი მაგისტრალური ხაზი ავჭალის ხიდიდან, ვიდრე დიდუბის კლდეებამდე, ხეიძმარის ხიდის ჩათვლით. უბნის სიგრძე 4 კილომეტრია.

12 წელიწადია საკუთარ შვილივით ვუვლი ამ უბანს. საღამოს 10 საათზე გავდივარ სამუშაოდ და დილის 8 საათამდე რკინისგზაზე დავიარები, თითქოს რაღაცას ვეძებდე. მომდევნო ორი დღეღამე საკუთრივ ჩემია. შემდეგ დილის 8 საათზე ვაახლებ მუშაობას და საღამოს 10 საათამდე სახლში არ შევდივარ. ასე მიდის დღეები ამ 12 წლის განმავლობაში.

დიდი ტექნიკური ცოდნით შეიარაღება არაა, საჭირო, მაგრამ ჩემზე მაინც ბევრი რამაა დამოკიდებული. **ლიანდაგს უნდა უთვალთვალო, რომ მატარებელს ხიფათი არ შეემთხვეს.** წელს ასეთი ამბავი მოხდა დიდუბის სადგურში. იქ, რომ ლიანდაგის დარაჯი ფხიზლად ყოფილიყო და სადგურისათვის ცნობა მიეცა —რელსი გატყდაო, მატარებელი არ ჩავარდებოდა და არც ისე დიდი ზარალი მოხდებოდა.

ივნისის ერთ მშვენიერ დღეს, ჩემს თეთრ სახლთან ავტოდრეზინა შედგა და იქიდან „გაიკაანი" ხალხი გადმოვიდა. ვიცანი — მიიქვსე სალიანდაგო დისტანციის ხელმძღვანელები. მათ ჩემთან ერთად დაათვალიერეს მთელი უბანი ავჭალის ხიდიდან დიდუბის კლდეებამდე და გამომშვიდობებისას მითხრეს:

— ვაშა, გიორგი!... გამეხარდა...

სიხარულს გაკვირვება დაემატა! არ მოველოდი! რაშია-მეთქი, საქმე,—ვიკითხე. მიპასუხეს—კარგად მუშაობო, ლიანდაგი საუკეთესოდ გაქვს მოვლილიო.

ვფიქრობ, არც ის იქნება ზედმეტი, რომ თვითონ მე გესაუბროთ ჩემი მუშაობის შესახებ. ეს ალბათ სინამდვილესთან უფრო ახლოს მიგვიყვანს.

მატარებლის სიმძიმე ანჯღრევს რელსს. ჭანჭიკები დუნდება. ათი და ზოგჯერ მეტი ჭანჭიკი მოდუნდება ხოლმე ყოველდღიურად. ხშირია მისი ჯამოვარდნის შემთხვევაც. **ეს საფრთხეს უქმნის მოძრაობას,** განსაკუთრებით მოსახვევებში, სადაც ორთქლის ძალა განზე სცემს და მატარებლის გადაგდების შიშია. თვითეული ჭანჭიკი გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ დროს. მეც მატარებლის ყოველი გავლისას დიდი მზრუნველობით ვათვალიერებ მათ განსაკუთრებით მოსახვევებში; და შევნიშნავ თუ არა, რომ ჭანჭიკი მოშვებულია, გასაღები და მისი ჯანი მოუჭერ... გავამაგრებ...

მთავარია ტაბიკა ლურსმების სიმაგრე. იგი რელსს შპალზე ამაგრებს. მძიმე შემადგენლობა რელსს ხან მაღლა ასწევს და ხან დაბლა დაზნექს განსაკუთრებით ვადევნებ თვალყურს. მზად მაქვს ჩაქუჩი.—დავკრავ, დავჭედავ. თუ შპალი ძველია, ტაბიკ ქვეშ ხის სოლს ვუდგამ. იგი უფრო აკავშირებს რელსს შპალთან.

ეს არის და ეს. ასე ვმუშაობ მე.

ლიანდაგის ზოგმა დარაჯმა შეიძლება დამცინოს—ასე ხომ ჩვენც ვმუშაობთო.

მწამს... მაგრამ ჩვენი მუშაობა მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამ განსხვავებას აშკარავებს ის, რომ მე მარტო არ ვმუშაობ. მეხმარებიან ცოლი—ეფემია და შვილები, თავისუფალ დროს ისინი ჩემთან ერთად (და არა უჩემოდ) დადიან ლიანდაგზე და მუშაობენ ისე, როგორც მე.

შედეგი? ლიანდაგი ჩემს უბანზე მატარებლის მოძრაობისთვის სრულიად უშიშარია.

ლიანდაგის დარაჯი **გიორგი ქუმსიაშვილი.**

**მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ტვირთზიდვის გეგმა ა.-კ. რკინისგზამ წარმატებით დაამთავრა. 157 ათასი ცისტერნის ნაცვლად, მან გადაზიდა 164 ათასი ცისტერნი ნავთობი.**

**ივლისის გასული 20 დღის განმავლობაში მან ჩამოასხა და გადაზიდა 17.600 ცისტერნა ნავთობი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 16.000 ცისტერნისა.**



**ამ მიღწევათა ნათელ ფონზე შავ ლაქად მოსჩანს გზის ჩამორჩენა მშრალი ტვირთების გადაზიდვის საქმეში. ივლისის ორი დეკადის განმავლობაში დაუტვირთავი დარჩა 701 ვაგონი.**

**სახელოვანი ადამიანების ღირსების საქმეა მაგისტრალის განტვირთვა ზედმეტი ვაგონებისაგან, რომელთა რაოდენობა 600 აღწევს.**

## გარდაქმნეს მუშაობა

მეორე საექსპლოატაციო განყოფილების ფარგლებში პოლიტგანყოფილებამ პირველ რიგში გაშალა ბრძოლა სოცშეჯიბრება-დამკვრელობის განმტკიცებისთვის. კვარტალური ხელშეკრულებიდან გადავედით თვიურ და დეკადურ ხელშეკრულებებზე. პრაქტიკაში შემოვიღეთ მოწინავე დამკვრელების პოპულარიზაცია. თავისთავად ცხადია, ამ ღონისძიებებმა უზრუნველყვეს დამკვრელთა რიგების ზრდა.

მე-17 პარტყრილობისათვის მზადებამ და ტრანსპორტზე დამკვრელთა სტალინურმა გაწვევამ გააუმჯობესა მუშაობა. სადგურებში, დეპოებში, სალიანდაგო სახელოსნოებში და შემკეთებელ ქარხნებში ფართოვდება შეჯიბრება სტალინური გაწვევის საპატიო სახელწოდებისთვის. ჩვენს რაიონში და მთელ გზაზე პოპულარული გახდენ სტალინური გაწვევის ისეთი საუკეთესო დამკვრელები, როგორიც არიან გაჩარხვის მუშები **არტემ მაკარაშვილი, ვასო ბარბაქაძე;** მემანქანეები:—**გელაძე; ტანასეიჩუკი; ლეჟავა; წიკლაური, ემჩინოვი, ხოშტარია;** გზის ოსტატი—**ცუცქირიძე,** გამზეთავები — **ზსუტური** და **დემეტრაძე;** მექვაბეები—**ჭიჭინაძე და გეწაძე;** გადამბმელი — **კაციტაძე,** ელმავლის მემანქანეები — **კურტანაძე, ფრანჩუკი,**, მეისრე ქალი—**ჯანანაშვილი;** გამცილებელი ქალი—**გელიანოვა** და სხვ. **ესენი არიან რაიონის სიამაყენი.**

ამხ. კიკნაძის მეთოდის დანერგვის შემდეგ პარტიული მუშაობის მთელი სიმძიმე განმკარგულებელ სადგურებში გადატანილი იქნა ძირეულ რგოლებსა და ცვლებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, ნავთლუღის პარტორგანიზაციის ინიციატივა, რომელმაც ყოველდღიურ მუშაობაში გადმოიტანა წითელი არმიის გამოცდილება. ნავთლუღის სადგურმა დაიწყო უკეთესად მუშაობა. სადგურის პარტორგანიზაციამ მიიღო გადამჭრელი ზომები გამოუსწორებელ კლიენტების მიმართ, რომლების დაუდევრობით იშლებოდა დატვირთვის გეგმა. პარტორგანიზაციამ დახმარებისთვის მიმართა 26 კომუნარის სახელობის პარტრაიკომს. რაიკომმა მიიღო სათანადო ზომები დაუდევარ კლიენტთა წინააღმდეგ.

სახელოვანმა ადამიანებმა ბოლშევიკურად გარდაქმნეს მეორე განყოფილების მთელი რიგი სადგურების მუშაობა.

მე-2 საექსპ. განყოფილების პოლიტგანყ. უფროსი **ი. ჟორჟოლაძე**

## გარდატეხა მოახდინეს

დღეს ა.-კ. რკინის გზის საუკეთესო შვილები აჯამებენ ბოლშევიკური მუშაობით მიღწეულ გამარჯვებებს. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილებიდან გასული ერთი წელი სერიოზული გარდატეხის წელს წარმოადგენს. პარტმასობრივი მუშაობის გაშლისა და რკინისგზის დამკვრელთა საბრძოლო დარაზმვის შედეგად ჩვენ შევძელით სოცშეჯიბრების სწორი ორგანიზაცია.

პირველ საექსპლოატაციო განყოფილების ხაზით დამკვრელობაში ჩაბმულია 4894 რკინისგზელი. გვყავან ისეთი საუკეთესო დამკვრელები, როგორიცაა **ილ. ვაშაკიძე, პ. ფერაძე, დ. დოლიძე, ეპ. ცეცხლაძე, ლ. ფოცხვერიშვილი** და სხვა. ესენი—ის ადამიანებია, რომლებსაც ემყარება პოლიტგანყოფილება თავის მუშაობაში. ყველა ისინი ელოდებიან სტალინურ გაწვევის დამკვრელთა მაღალ ნიშანს.

პარტმასობრივი მუშაობის გაშლის შედეგია ისეთი გმირის გამოჩენა, როგორიცაა ბათომის სადგურის უფროსი ამხ. **კიკნაძე.** კიკნაძეს სხვაგანაც უმუშავნია, ცვლათა მუშაობის ისეთი აღრიცხვა, რომელიც მან ბათომის სადგურში გაატარა, ადრევე შემოღებული ჰქონდა გზათა სახალხო კომისარიატს. მაგრამ არც ერთი სადგურს არ გაუტარებია იგი ცხოვრებაში. პოლიტგანყოფილებამ გასაქანი მისცა ამხანაგ კიკნაძის ინიციატივას და ის ფართო ასპარეზზე გამოიყვანა.

შრომის დისციპლინის განმტკიცებაში რკინისგზის სახელოვანმა ადამიანებმა დიდი როლი ითამაშეს. შემცირდა მარცხი. ივნისში ჩვენს რაიონს აქვს 6 მნიშვნელოვანი და 4 ნაკლებად მნიშვნელოვანი შემთხვევა. ნაცვლად 30-მდე შემთხვევისა გასული წლის ამავე თვეში. ეს შედეგია იმის, რომ საუკეთესო ადამიანთა ბრძოლის მაგალითი ჩვენ გავხადოთ ყველასათვის სანიმუშო საქმედ.

საუკეთესო ადამიანთა დახმარებით, მათი უშუალო მონაწილეობით, სერიოზული მუშაობა ჩაატარა პოლიტგანყოფილებამ მგზავრების უკეთესი მომსახურეობისათვის.

პირველ საექსპლოატაციო განყოფილების პოლიტგანყოფილება და სამეურნეო ერთეულები ამაყობენ თავისი მოწინავე დამკვრელებით.

1-ლი საექსპ. განყ. პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე **ბ. კაიშაური.**

## გამარჯვების პატაკით



ხელმძღვანელობის გაუმჯობესებით, მუშაობის გარდაქმნით, ნავთლუღის სადგურმა თავი დააღწია თანდაყოლილ თვისებად გადაქცეულ ჩამორჩენას და გარღვევებს.

სახელოვან ადამიანთა საგზაო შეკრებას იგი ხვდება 1934 წლის პირველი ნახევრის გეგმის გადაჭარბებით შესრულებით. ვაგონების საერთო მოცდენა 24,9 საათის ნაცვლად, ეხლა 15,5 საათს შეადგენს; სატრანზიტო ვაგონების მოცდენა 19,1-დან დაყვანილია 13,2 საათამდე. სატრანზიტო ცისტერნების მოცდენა 16-დან დაყვანილია 14,2 საათამდე, ხოლო სატვირთო ოპერაციების ქვეშ ცისტერნების მოცდენა 27 საათს შეადგენს, ნაცვლად 31 საათისა, სადგურმა საგრძნობლად გაზარდა საალუმო კოეფიციენტი.

ამჟამად სადგურის შენობის შეკეთება ხდება: იდგმება რადიომიმღები, ეწყობა უპატრონო ბავშთა მიმღები პუნქტი, სადგურის მოედანზე შენდება ბაღი, ფართოვდება მგზავრთა მოსაცდელი ოთახი, ასფალტით იგება სადგურის წინა და უკანა ბაქანი. ტფილისის საბჭოს და 26 კომუნარის სახელობის რაიონის დახმარებით.

მთელი რიგი შაბათობების მოწყობით სადგურის ტერიტორია გაიწმინდა ჭუჭყისა და სიბინძურისაგან.

სადგურს ეს მიღწევები მოუპოვა დისციპლინის განმტკიცებამ, შრომის ზუსტმა აღრიცხვამ ამხ. კიკნაძის მეთოდით და სოცშეჯიბრება-დამკვრელობის ფართოდ გაშლამ. შესრულების შემოწმებამ და ზუსტმა აღრიცხვამ დეზორგანიზატორებს გარდა, გამოავლინა მრავალი საუკეთესო დამკვრელი.

სტალინური გაწვევის დამკვრელის ნიშნის მისაღებად იბრძვიან დღეს მეისრე **იმერლიშვილი** (მან აპრილში მატარებელი დამტვრევას გადაარჩინა), უფროსი მეისრე —**ნონიკაშვილი,** შემადგენელნი — **ტატიშვილი და ჯორბენაძე,** გადამბმელი — **ქვრივიშვილი;** უკანასკნელი ორი დამკვრელი გაქურდული ნივთების და ქურდების აღმოჩენისათვის გზის უფროსმა ამხ. **როზენცვეიგმა** დააჯილდოვა თითო 250 მანეთით და გამოუცხადა მადლობა. დამკვრელობის საუკეთესო ნიშნებს იძლევა მტვირთავი **ხაჩატუროვი** თავისი ჯგუფით, რომელმაც მეორე კვარტალის გეგმა 151 პროცენტით შეასრულა. **დისპეტჩერ თევზაძის ცვლა მოწინავეა სადგურის დანარჩენ ცვლებს შორის.**

სოცშეჯიბრებაში ჩაბმულია სადგურის ყველა მუშა-მოსამსახურე; საუკეთესო დამკვრელთა, რაოდენობა 200 აღემატება. პირველი ცვლა დისპეტჩერ თევზაძის ხელმძღვანელობით ეჯიბრება მეორეს, მესამე ცვლა დისპეტჩერ მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით — მეოთხეს და ამრიგად ბრიგადებსა და ცვლებს შორის ბრძოლაა საწარმოო გეგმების გადაჭარბებით, შესრულებისათვის.

ტექსწავლების პირველი და მეორე ტური უკვე დავამთავრეთ, პირველ ტურში ტექნიკის შემსწავლელმა ოთხმა წრემ მოამზადა 192 მუშა, ხოლო მეორე ტურში ტექნიკური ცოდნა მიიღო 210 კაცმა, განსაკუთრებით წარმატებით ჩატარდა ტექსწავლების მეორე ტური, რამაც დიდი შედეგი გამოიღო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მხრივ.

**დიდი ყურადღება ექცევა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. სადგურს** არ ქონდა მუშებისათვის საცხოვრებელი ბინა, იგი **ამას აშენებს.** სადგურის მუშები სულ მოკლე დროში მიიღებენ 30 ბინას.

ჩვენ მოუწყეთ ელექტროგანათება საუკეთესო დამკვრელებს: **გურასაშვილს, ბორტიშვილს** (მეისრე) **გელაშვილს** (დისპეტჩერი), **ნონიკაშვილს** (მეისრე), **გელაშვილს** (ლიანდაგის მორიგე) და სხვებს, რომელთაც არ ჰქონდათ განათებული ბინა.

**ასეთი გამარჯვების პატაკით მივდივართ სახელოვან ადამიანთა საგზაო შეკრებაზე.**

ნავთლუღის სადგურის უფროსი **რომანიშვილი**





„ტრანსპორტი წარმოადგენს იმ ადგილს, რომელზედაც შეიძლება წაიფორხილოს და შეიძლება ითქვას, უკვე ფორხილობს მთელი ჩვენი ეკონომიკა და უწინარეს ყოვლისა ჩვენი საქონელბრუნვა". (ი. სტალინი).

„აქ უმთავრესია — დისციპლინის გადაჭრით ამაღლება, მკაფრი შეტევა უთაურობისა და დაუდევრობის წინააღმდეგ. საჭიროა შევქმნათ მკაცრი დისციპლინა თავიდან ბოლომდე, უამისოდ ჩვენ თავს ვერ გავართმევთ გადაზიდვას". (ლ. ბერია)

# გამოწვევას ვღებულობთ

**ბ.-ქ. სახ. პოლიტსამმართველოს გუმბრინის რკ.-გზ. მშენებლობის ამხანაგს**

ჩვენ, გუმბრინის კოლექტივს დიდ მოთხოვნილებას გვიყენებს საბჭოთა ნავთი.

1933 წლის განმავლობაში გეგმით უნდა ამოგვეღო 30.000 ტონა გუმბრინი. 1934 წელს ეს დავალება ავიდა 100.000 ტონამდე. გასულ წლის გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ, 30.000-ის ნაცვლად 34.626 ტონა ამოვიღეთ. ასევე გადაჭარბებით შევასრულეთ მიმდინარე წლის პირველი ნახევარის პროგრამა — 42.000 ტონა გუმბრინის ამოღება, გეგმის შესრულება 102,7 პროც. უდრის.

ჩვენი მუშაობის ვიწრო ადგილს წარმოადგენს ამოღებული გუმბრინის მიზიდვა რკინისგზამდე. ეს სამუშაო ჩვენთან ავტოტრანსპორტას [illegible] ტის გამოძებნა. „რაც არ უნდა დაგვიჯდეს 1934 წ. პირველი ნახევრის დამლევს მზად უნდა გვქონდეს გრო წეულა-გუმბრინის რკ. გზის შტო“ (ბერია). ეს სამუშაო პირველი აგვისტოსთვის სრულდება. ეს მდგომარეობა გვავალებს ჩვენ, გუმბრინელებს, მზად ვიყოთ პირველი მატარებლის შესახვედრად, საამისოდ ჩვენი მუშათა კოლექტივი ენერგიულად ემზადება.

ჩვენ ვღებულობთ თქვენს გამოწვევას გუმბრინის რკინის გზის მშენებლობაზე ჩვენი სამუშაოების მზადყოფნის შესახებ და გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ შესრულებულია მიწის სამუშაოები 80 პროცენტით, ხოლო გვირაბის გაჭრა დღემდე დამთავრებულია 50 პროცენტით.

**ვკისრულობთ:**

ა) მიწის სამუშაოები დავამთავროთ 17 ივლისამდე.

ბ) გვირაბის გაჭრა მთლიანად დავასრულოთ 20-სათვის.

გ) ვიწროლიანდაგიან რკ. გზის დაგება 400 მეტრის სიგრძით დავამთავროთ 27-სათვის.

დ) ესტოკადის მასალების აგება დავამთავროთ ამავე 27-ივლისისათვის.

[illegible] 37000 [illegible] ტონა გუმბრინი [illegible] და შერობას [illegible], რომ აგვისტოში პირველ მატარებელს დავაბრუნებთ გუმბრინით დატვირთულს.

დირექტორი **გიორგობიანი**
პარტკომი **ლალიძე**
მაღარკომი **ასათიანი**

# ისწავლეთ

## ავტომატიური სატელეფონო აპარატებით სარგებლობა

მოახლოვდა ტფილისის ავტომატური სატელეფონო სადგურის (ტ. ა. ს. ს.) ამუშავების ვადა. უკვე დაწყებულია ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რომ მშრომელთა ფართო მასებს შეასწავლონ და გააცნონ ავტომატური სატელეფონო აპარატებით სარგებლობის წესი. დამზადებულია და ამ დღეებში ქუჩებში გამოკრული იქნება სპეციალურად დახატული პლაკატები, კინო-თეატრებში დაწყებულია ავტომატური ტელეფონით სარგებლობის წესების მასებისათვის გასაცნობად გადაღებული კინო-ფილმის დემონსტრაცია და სხ.

გარდა ამისა, ტფილისის მუშათა კლუბებში დადგმულია 10 ავტომატური სატელეფონო აპარატი სავარჯიშოდ. ეს აპარატები უკვე შეერთებულია ავტომატურ სატელეფონო ცენტრალურ სადგურთან და მოქალაქეებს შეუძლიათ ივარჯიშონ აქ აპარატის სარგებლობის წესების გასაცნობად. აპარატები უკვე მოწყობილია სტალინის, ორჯონიკიძის, პლეხანოვის, ვოროშილოვის, ტრამვაელების, [illegible]



ქალაქის სატელეფონო ქსელის სამმართველომ გამოყო ინსტრუქტორები, რომლებიც მშრომელებს აძლევენ განმარტებებს აპარატებით სარგებლობის შესახებ.

**სურათზე:** ვოროშილოვის სახ. კლუბში მოწყობილ ავტომატურ სატელეფონო აპარატთან.

# დღისით ბავშვები, საღამოთი მოზრდილები

ზაფხულის დაწყებისას მუშათა კლუბებს დაევალათ მოეწყოთ ბაღებში საბავშვო მოედნები და კუთხეები, რომ დღისით, როცა მუშათა კლუბის ბაღი თავისუფალია, ეს ბაღები გამოყენებული ყოფილიყო მუშათა ბავშვების დასასვენებლად. ამ დავალების შესრულებას მუშათა კლუბები დაუყოვნებლივ შეუდგენ.



ვოროშილოვის სახ. კლუბმა ერთმა პირველთაგანმა მოაგვარა დღისით მუშათა ბავშვების დასვენების საქმე. კლუბმა მოაწყო საბავშვო მოედანი გასართობებით, მოაწყო აგრეთვე საბავშვო ბიბლიოთეკა, ფიზკულტურის კუთხე და სხვ. ბაღში მოწყობილია ცალკე კუთხე ოქტომბრელებისათვის. აქ ბავშვებს უვლიან სპეციალურად გამოყოფილი გამზრდელები.

კლუბი მომსახურებას უწევს სულ 78 ნორჩ ოქტომბრელს და 175 პიონერს.

**სურათზე:** კლუბში დასასვენებლად მისული პიონერები საექიმო შემოწმებაზე.

# ბახმაროს მომარაგებას

## ყურადღებას არ აქცევენ

ზვარაკ ბახმაროს ყოველდღიურად ასობით ემატებიან მოაგარაკეები. მაგრამ კურორტის კოოპერაციის გამგეობა მათ შესახვედრად არ არის მზად.

სეზონი გაიხსნა 15 ივნისს. გეგმით ამავე რიცხვს უნდა გახსნილიყო 13 სხვადასხვა სავაჭრო წერტი, მაგრამ ფაქტიურად ამ დროისთვის გახსნილი იყო მხოლოდ 5 მაღაზია.

სავაჭრო წერტები არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო ასორტიმენტის საქონლით. სავაჭრო № 1-ში (გამგე ცილია ბროკიშვილი) ნახავთ მეტწილად მაგარ სასმელებს, რომელსაც ნაკლები გასავალი აქვს.

ამავე მაღაზიაში ამახინჯებენ ფასების პოლიტიკას. 150-გრამიანი სარეცხის საპონი გასული წლის ნაშთიდან იყიდება 3 მანეთად, მაშინ, როდესაც იმავე ხარისხის 400-გრამიანი საპონი იმავე ფასებში იყიდება (ეს მხოლოდ „ზოგიერთებისათვისაა“). ამ გარემოებას კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. **ჩხიკვაძე** ყურადღებას არ აქცევს.

ამასთან ამავე მაღაზიაში სხვადასხვა ხარისხის ჩაი ერთდაიმავე ფასებში იყიდება. მაღაზიის გამგე თავს იმით იმართლებს, რომ „ჩაის წონა ერთი და იგივე არის, [illegible]

[illegible] მამ უფრო გაიტაცა, ვიდრე პურით მომარაგების საქმეზე ზრუნვამ. ეს გარემოება სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. კომერციულ პურს კილოს 7 მან. და 50 კაპ. ყიდიან.

მოაგარაკეთა შაქრის ულუფის მომარაგებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. აქ არც კომერციული შაქარი იშოვება საკმაო რაოდენობით.

კოოპერაცია სამარცხვინოდ ჩამორჩება დამზადების დარგში. მაგალითად, სეზონის გახსნიდან უნდა დამზადებულიყო 3 ათასი კილოგრამი ყველი, დღემდე დამზადებულია მხოლოდ 200 კილოგრამი, კარაქი 2 ათასი კილოგრამიდან დამზადებულია ასი კილოგრამი. კოოპერაციას უნდა დაემზადებინა 300 ფრთა ფრინველი; არც ერთიც არ არის დამზადებული. ასევე ჩამორჩენილია ხორცის და სხვა პროდუქტების დამზადება. დამზადებათა ასეთი ჩაშლა გამოწვეულია არაოპერატიული ხელმძღვანელობით, მუშაობის გარდაუქმნელობით.

მაღაზიები არ იცნობენ თავიანთ გეგმებს. გეგმები გამოკეტილია უჯრაში.

ასეთი სერიოზული გარღვევები გამოწვეულია იმითაც, რომ ჩოხატაურის რაიკოოპკავშირი ნაკლებად ზრუნავს კურორტის მოსამარაგებლად. ჩოხატაურის რაიაღმასკომმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები აღნიშნული დეფექტების გამოსასწორებლად.

**ვ. კილურაძე**

## მუშათა კლუბებსა და ბაღებში

**ძერჟინსკის სახ. კლუბში** ოპერეტის თეატრის მსახიობების მიერ წარმოდგენილი იქნება „მარიცა“.

#

**წითელი არმიის სახლის კლუბში** ცნობილი მსახიობები კაშირსკაია და მარმელადოვი გამართავენ უკანასკნელად ბოშური სიმღერების, იუმორის და სატირის დიდ საღამო-კონცერტს.

#

**ვოროშილოვის სახ. კლუბში** — ღია ესტრადაზე მხატვრული პროგრამა. კინოში ახალი სურათი — ცისფერი ექსპრესი.

#

**სტალინის სახ. კლუბის ბაღში** გაიმართება საღამო, ფიზკულტურის მოედანზე — ფიზკულტურული შეჯიბრებები, კინოში წავა ახალი სურათი.

# ტფილისში შენდება პოლიკლინიკა 120 საწოლით

**სურათზე:** პოლიკლინიკის მთავარი კორპუსი, რომელშიაც მოთავსებული იქნება ამბულატორია და კანტორა.



ტფილისში, ვაკეზე, წარმოებს საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული სამკურნალო კომისიის პოლიკლინიკის მშენებლობა, რომელიც შესდგება სამი კორპუსისაგან 45 ათასი კუბიკური მეტრის საერთო მოცულობით. პოლიკლინიკაში მოთავსებული [illegible] ნალობის კაბინეტი. მშენებლობის ღირებულება, მოწყობილობას გარდა, უდრის 2-ნახევარ მილიონ მანეთს. პოლიკლინიკის კაბინეტები მოწყობილი იქნება ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე. სამივე კორპუსის აგება ძირითადად დამ[illegible]

# მონასტრის ნაცვლად მშრომელთა ჯანმრთელობის კერა

## ყოფ. ახალ-ათონის მონასტერში კურორტის მშენებლობის პროექტი

**მოსკოვი**, 21 ივლისი. მოსკოვის № 2 სახკურორთმოძღვრო - საპროექტო სახელოსნომ აფხაზეთის მთავრობისაგან მიიღო წინადადება დაამუშაოს ყოფილ ახალ ათონის მონასტერში კურორტის მშენებლობის პროექტი. პროექტის შესრულება დაევალა აკადემიკოს **შჩუსევს** და ხუროთმოძღვრებს **ჩერნოვს** და **როსტოვსკის**.

ამის გამო აკადემიკოსმა შჩუსევმა საკ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

— ყოფილი ახალი ათონის მონასტრის საცხოვრებელ სახლებზე დაშენებული იქნება სართულები და ისინი გადაკეთდება დასასვენებელ სახლებად.

გადაწყდა მონასტრის ტაძარი გადაკეთებულ იქნას კულტურის საკურორტო სახლად.

პროექტის განხორციელების შემდეგ ეს კურორტი გადაიქცევა აფხაზეთის რესპუბლიკის სანიმუშო კურორტად. აღნიშნულ კურორტზე ერთსა და იმავე დროს 500 კაცი დაისვენებს. (ადს).

# კულტურის სახლი ფოთში

[illegible]



ზედა სართულში მოეწყობა სხდომების დარბაზი 400 კაცისათვის.

კულტურის სახლის პროექტი დამუშავებულია პროფ. **კალიგინის** და **არქიტექტორ ტერ-სტეპანოვის** მიერ.

ტაძრის გადაკეთებას ხელმძღვანელობს სპეციალური კომიტეტი **გრ. მალანიას** ხელმძღვანელობით.

ამჟამად დაკვრითი წესით მიმდინარეობს მუშაობა კულტურის სახლის მოსაწყობად, რისთვისაც უკვე შეკვეთილია საჭირო ინვენტარი. სახლის ირგვლივ გაშენებული იქნება დიდი სუბტროპიკული ბაღი ძვირფასი მცენარეებით.

ფოთის კულტურის სახლი მზად იქნება 1935 წლის მეორე ნახევარში.

**სურათზე:** მუშაობა ფოთის ტაძრის ფასადის გადაკეთებაზე.

# მეცნიერება და ტექნიკა

[illegible]

მინოლოგიის გარშემო, რომელიც შეიქმნა წყალბადის იზოტოპის (ატომწონა=2) აღმოჩენასთან დაკავშირებით. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფ. **ურეიმ**, რომელმაც მძიმე წყალბადი აღმოაჩინა, უწოდა მას დეიტერიუმი. კალიფორნიის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა „მძიმე წყალბადის“ ატომგულს უწოდეს დეიტონი. ე. **რეზერფორდი** იმის შიშით რომ სიტყვები დეიტონი და ნეიტრონი წარმოთქმის დროს ერთმანეთს ემსგავსება („განსაკუთრებით, თუ მომხსენებელს სურდო აქვს“), რასაც არა ერთხელ გამოუწვევია გაუგებრობა, წინადადებას იძლევა შემოღებული იქნას სახელწოდება დიპლოგენი და დიპლონი. ცნობილი ფიზიკოსი **რავუდი** ორივე ამ წინადადების წინააღმდეგია, ვინაიდან ყველა წარმოდგენილი თერმინები ქმნიან შთაბეჭდილებას თითქო ლაპარაკია არა იზოტოპზე, არამედ ახალ ელემენტზე. ვუდი წინადადებას იძლევა, როცა ლაპარაკია მძიმე წყალბადზე და მის შენაერთებზე, მათი სახელი დაიწეროს დიდი ასოთი და ზევით გავლებული იქნას ხაზი. სიტყვიერათ წარ[illegible] ხოლი და სხვ. კემბრიჯის უნივერსიტეტი პროფ. **ფ. სოდდი** ფიქრობს, რომ მსუბუქი და მძიმე წყალბადი ვერ ჩაითვლება იზოტოპებათ: ისინი არიან გომოლოგები. რუზერფორდი წინადადებას იძლევა იზოტოპის სიმბოლოდ შემოღებული იქნას ასო $D$, ვუდი—ასო $H$ ხაზით მის ზევით. **რ. ჰორტნერი** წინადადებას იძლევა დატოვებულ იქნას ამჟამად არსებული სიმბოლოები, მაგრამ იზოტოპების (კერძოდ წყალბადის იზოტოპის) აღსანიშნავად გამოყენებულ იქნას სხვადასხვა შრიფტი — სქელი, გოთური ან სხვა. **გ. ჰარკინსი** ფიქრობს, რომ უმჯობესია შემოღებულ იქნას ელემენტთა ისეთი სისტემა, რომელშიც ელემენტები აღნიშნული იქნება ატომწონებით და იზოტოპის ნომერი—სახელის სათანადოთ შეცვლით. მძიმე წყლის ფორმულა ჰარკინსის მიხედვით იქნება $(1;0)_2$; (8,0), სახელწოდება კი— dideutohydrogen-oxide მეორე სისტემა მძიმე წყალს უწოდებს dideuterium-hekaidekatium.

### მიიღო თუ არა მუასანმა ხელოვნური ალმასები

ქიმიის ყველა სახელმძღვანელოებში აღნიშნულია, რომ ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა **ჰანრი მუასანმა** (1852—1907) ხელოვნურად მიიღო ალმასის პატარა კრისტალები, (3000 გრადუს ტემპერატურაზე რკინაში გახსნილი ნახშირბადის სწრაფად გაცივებით წყალში), ამჟამად **ჰოფმანმა** (იენა) გამოარკვია, რომ ამგვარი კრისტალების გარდატეხის კოეფიციენტი უდრის 1,74, ნამდვილი ალმასებისა კი—2,4. ამნაირად მუასანის ძველი ცდები ახლა საეჭვოთ არის მიჩნეული.

### ხმის სისწრაფის გამორკვევა

ამერიკელმა მეცნიერმა **დაიტონ-მილლერმა** 1918 წ. ჩაატარა ხმის სისწრაფის გამორკვევა, რომლის მასალები მან მხოლოდ ახლა დაამუშავა, ხმის სისწრაფე, დაყვანილი სტანდარტული ტემპერატურული და წნევის პირობებამდე, უდრის 329,404 მტრ. სეკ. სისწრაფის გაზომვა სწარმოებდა ექვსი მძლავრი მიკროფონის საშუალებით, რომლებიც შეერთებული იყვნენ სარეგისტრაციო გალვანომეტრებთან და მოთავსებული იყვნენ 30-დან 6.400 მეტრის მანძილზე დიდი ზარბაზნიდან. ამ ზარბაზნიდან გაისროლეს 71 ყუმბარა.

★ ★

### ხანძრის ჩაქრობა აეროპლანებზე

შეერთ. შტატებში აეროპლანებზე ფრენის დროს გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობათ შემოღებულია ახალი ცეცხლმაქრობი მოწყობილობა. ეს მოწყობილობა „ღრჩობს“ ცეცხლს — ახვევს მას ცეცხლისათვის ინერტული — ნახშირმჟავა აირში. ცეცხლმაქრობის მიერ გამოყოფილი აირი უვნებელია მფრინავისათვის, არავითარ ზიანს არ აყენებს მოტორს და, ამერიკული ტექნიკური ჟურნალების ცნობით, სწრაფად აქრობს ცეცხლს.

ცეცხლმაქრობი შესდგება მსუბუქი ცილინდრიდან, რომელიც შეიცავს აირს, მრავალნახვრეტიან მილებიდან, რომლებიც გარს აკრავს მოტორს და ცეცხლმაქრობის მოქმედების მომწესრიგებელ მექანიზმიდან. ეს უკანასკნელი მოწყობილია აეროპლანის სამართავ ხისტის დაფაზე. აირი შეკუმშულია 58 ატმოსფერომდე (850 ინგლ. გირვ. ერთ კვადრ. დიუმზე) და საჭიროების დროს თავისუფლად შეიძლება იქნას გამოშვებული. ჰაერის მძლავრი ნაკადი გაფრენის დროს დენის აირს მოტორის ყველა ჭუჭრუტანებსა და ნახვრეტებში და, ამრიგად, ხელს უწყობს ცეცხლის ჩაქრობას.

ეს ახალი ცეცხლმაქრობი შემოღებულია შეერთ. შტატების სატრანსპორტო ფირმების აეროპლანებზე, სამხედრო და საზღვაო ავიაციაში.



**სურათზე—ცეცხლმაქრობის ცილინდრი.**

# კრწანისი—საგარეუბნო კურორტი

## დაწყებულია საკურორტო გზების გაყვანა

კრწანისი გამოცხადებულია საგარეუბნო საკურორტო უბნად და ამჟამად იქ უკვე იწყება დასასვენებელი სახლების მშენებლობა. წელს გადაწყვეტილია აგებულ იქნეს 4 დასასვენებელი სახლი, რისთვისაც გამოყოფილია საჭირო საშენი მასალები და ფულადი სახსრები.

საკურორტო მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით, ტფილისის საბჭომ დაავალა საგზაო მშენებლობის ტრესტს დაუყოვნებლივ შეუდგეს კრწანისში საკურორტო გზების გაყვანას, მოკირწყლოს კრწანისის ქუჩა და შეაკეთოს იგი, რომ ტრანსპორტს გაუადვილდეს მოძრაობა მშენებლობისათვის საჭირო მასალების მისაწოდებლად.

კრწანისის საგზაო შენებლობისათვის გადადებულია 37.000 მანეთი. კრწანისში მისასვლელი დიდი გზის შეკეთება საგზაო მშენებლობის ტრესტმა უნდა დაამთავროს 1-ლ აგვისტომდე.

# ახალი დანიშვნები

**დადგენილება**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

**ამხ. დავით ასალოს-ძე მახარაძის საქართველოს სსრ-ის მსუბუქ მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ დამტკიცების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ-ის მსუბუქ მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ დამტკიცებულ იქნეს ამხ. დავით ასალოსძე მახარაძე.

სრ. საქ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. ივლისის 22.
ტფილისი.

**დადგენილება**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

**ამხ. ანდრო ნესტორის-ძე კალანდაძის საქართველოს სსრ-ის მსუ**[illegible]

[illegible]

სრ. საქ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. ივლისის 22.
ტფილისი.

# ქრონიკა

— ამხ. სტალინის სახ. საცდ.-საჩ. კლუბის ბაღში 24 ივლისს დღის 12 საათზე გამოსასვლელი დღის უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობაა. ლექცია დოც. სერ. მაკალათიასი მხარეთ-მცოდნეობის ციკლიდან: „თუშეთი“. დასწრება თავისუფალია.

# ჭადრაკი

## საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

**ბერლინი**, 21 ივლისი. გუშინ ციურიხში შესდგა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეშვიდე ტური. ყველაზე უფრო დიდი ინტერესი გამოიწვია შემდეგმა პარტიებმა: **ფლორი-ალიოხინი** და **ლასკერ-ბერნშტეინი**. პირველი ყაიმით დამთავრდა, მეორე — **ლასკერის** გამარჯვებით. მდგომარეობა ასეთია: **ფლორი** და **ლასკერი** 5-ნახევარი ქულა თვითეულს, **ალიოხინი**, **ბოგოლიუბოვი**, **ეივე**, **შტალბერგი** — ხუთ-ხუთი ქულა, **მიულერი** — 4 ქულა, **ნიმცოვიჩი**, **ბერნშტეინი** და **იონერი** — სამ-სამი ქულა; **გრომი**; **გიუგლი** და **გენებერგერი** — 2-ნახევარი ქულა თვითეულს, **როხელი** და **ნეგელი** — 1-ნახევარი და **იოსტი** — ნახევარი ქულა. (ადს).

# პარტკალენდარი

— ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ხელმძღვანელ პარტორგანოების განყოფილება სთხოვს ამხ. თედორე ნიკოლოზის-ძე ხალდეევს გამოცხადდეს ც. კ-ში (ოთახი № 59) ამხ. ელიგულაშვილთან.

★ ★

— საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილებამ მიიღო ადგილები აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მოსკოვში და ჟურნალისტიკის ინსტიტუტში ლენინგრადში. აღნიშნულ ინსტიტუტებში შესვლის მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ამხ. მურადოვს (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი, ოთახი № 69) მიმდინარე წლის 24 ივლისამდე.

# მარეგანეცი

**20 ივლისს**

**ხასაქონლო პროდუქციის გამომუშავება (ტონობით)**

| გეგმა | ფაქტიური | % |
|---|---|---|
| 3.330 | 2.900 | 87,1 |

**ვაგონების მიწოდება**

| [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| 200 | 179 | 179 |


| | |
|---|---|
| **ოქტომბერი** 7. 9. 10-45 | სათავგადასავლო ფილმი „მის-მენდი“ ძე-2 ე სერია. |
| **დამკვრელი საზაფხ.** 9. 11 | ახალი მხატვრ. ფილმი „გიქორი“ პროგრამის გარ ს. ჯ. ჟ. № 12 |
| **დამკვრელი საზამთ.** [illegible] 30. 8, 9-30, 11 [illegible] | |
| **ითერი საზაფხ.** [illegible] | საზღვარგარეთული ფილმი „ელლა დონნა“ |
| **თემქი (საზაფხ.)** 9. 11. | საზღვარგარეთ. სათავგადა ფილმი „სამი ჯიგი“ |
| **„26“-ის სახ.** [illegible] 9. 11. | მხატვრული კომედია „საგურ-საფლავი“ |
| **რ. ლიუქსემბურგის სახელობის** სეანს 7. 9. 11 | საზღვარგარეთული ფილმი „კვალ და კვალ“ |
| **კომინტერნი“ საზაფ.** [illegible] | მხატვრული ფილმი „ახუში“ |

**იკითხეთ და გაავრცელეთ ყოველდღიური გაზეთი**

**ახალგაზრდა კომუნისტი**

**ფასი:**
1 თვით — 1 მ. 25 კ.
6 თვით — 7 მ. 50 კ.
1 წლით — 15 მან.

**საქართველოს დაუსწრებელი პედინსტიტუტი**

ამით აცხადებს ტფილისელ სტუდენტთა საყურადღებოდ, რომ 25 ივლისიდან 1 აგვისტომდის ინსტიტუტის ბინაზე (ლომინაძის ქ. № 5) იწარმოებს მეორე სემესტრის სასწავლო მასალის გაცემა.

4-41 დ. პ. ი. დირექცია.

ა. წ. 23 ივლისს, საღ. 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში კალოუბნის ქ. № 3) შესდგება

**საქ. განათლების სახ. კომისარიატის საბჭოს პლენუმი**

დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები:

1. კულტურული მშენებლობის ამოცანები და განათლების ორგანოების მუშაობის გარდაქმნა (მომხსენ ამხ. ე. გორდელაძე)
2. ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მსვლელობა (მოხსენებები: აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის განსახკომების, ახალციხის, ჭიათურის, თელავის, აბაშის და ლაგოდეხის რაიონების განათლების განყოფილებების და გორის პედტექნიკუმისა და ველისციხის საშუალო სკოლის გამგეების).

**საბჭოს წევრების დასწრება სავალდებულოა.**

საბჭოს სხდომებზე მოწვეულნი არიან ტფილისის განათლების განყოფილებათა გამგეები და სკოლების დირექტორები, აგრეთვე განათლების განყოფილების ქვემდებარე დაწესებულებათა ხელმძღვანელები

346 საქ. განათლ. სახ. კომისარი: **ა. თათარიშვილი.**

**დავკარგეთ** ზემო სვანეთის გზის მშენებლობის ბეჭედი

ჩაითვ. გაუქმებულად. 43-4

**ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად**

**კავშირის წიგნაკები.** სიმონ მაღრაძის № 272544 ადრა ანთიძის ას. [illegible]

**სამხედრო წიგნაკები:** ვასილ ალექსის-ძე [illegible] ივანე ლევანის ძე მჭედლიშვილის.

**სხვა და სხვა:** [illegible] № 17608, ტრამვაის ბილეთი № 797353, ბილეთის [illegible] 0.16.72 [illegible] მოწმობა № 8 [illegible] მაღრაძის, კოოპკავშირის საწევრო ძანდატი № 1966049 ილია ბიცაძე, ხონის ინდ. ტექნ. დამთავრების მოწმობა № 34 [illegible] პარტბილეთი № 27 642 [illegible] 442

არტელის წევრთა საერთო კრების დადგენილებით, იდება **არტელ „წინსვლას“ ლიკვიდაცია**

პრეტენზიების შემოტანის უკანასკნელი ვადა დანიშნულია ა/წ. სამ აგვისტოსათვის. პრეტენზიებ მიიღება რუსთაველის № 2 [illegible] არტელ „ჯანმრთელობის“ მთავარ ბუხჰალტერთან ამხ. ვასო ჩიქოვანთან დილის 9 დან 3 სა. თამდე და საღამოს 8-დან 10 საათამდე.

4411 ლიკვიდკომი.

**ა/კ. რკ. გზის წითელი ჯვარი და წ/მთვარის ტფილისის რაიონული რკ. გზის წ/ჯვრის კომიტეტი 23 ივლისს საღამოს 8 საათზე**

**ხსნის მიმინერ საპარიკმახეროს ზხეფით**

**ტფილისის სადგურის შენობაში.**

პორფილე და ალექსანდრა შვილებით ნინო, რებეკა, ნიკოლოზ ცოლშვილით საშა და სერგო კანდელაკები მწუხარებით აუწყებენ ნათესავ მეგობრებს, დაუვიწყარ სიძის

**მამია ანთელავას**

უდროოდ გარდაცვალებას. ქვ. 4396

ღრმად დამწუხრებული ცოლის ძმები დიმიტრი და ექიმი ვარლამ არისტოტელის-ძე აბაშიძეები ოჯახობით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს

**მამია ანთელავას**

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება 24 ივლისს ყორღანოვის ქ. № 9. ქვ. 4395

მეუღლე ირინე და შვილი ლალი მიქელაძეები იუწყებიან უსაყვარლეს, დაუვიწყარ

**დევიკოს**

გარდაცვალებას. ცურნის გამოსვენება 24 ივლისს საღ. 6 საათზე კურსანტების ქ. № 4-დან. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. ქვ. 4404

საქვაჭრობის საწყობების მწუხარებით გამოსთქვამს დირექტორის მოადგ. ამხ. რუბჩისის დის

**ვარვარა რუბჩისი მანიას**

უდროოდ გარდაცვალების გამო. დასაფლავება ქ. გალში 24 ივლისს. ქვ. 4410

სოფიო, მოსე, კალანდარიშვილები; ივანე; ნიკოლოზი, დიმიტრი, პავლე, ალექსანდრე, ზაზო, ნინა, საშა, კოტე, დათო, ალიკო, დოდიკ, ნინა, ქეთო ციციშვილები, ლია, საშიკო ფალავანდიშვილები იუწყებიან ძვირფას სიძის

**დევი მიქელაძის**

გარდაცვალებას. ქვ. 4403

საგეგმო კომისიის თანამშრომლები: გ. გეგელია, ვ. ტელეშევა, რ. ყუბანეიშვილი, ბ. ფალავანდიშვილი, ლ. ნიკურაძე, მ. მეღვინეძე, ნ. ცინცაძე, ლ. თიკანაძე, პ. ჩირექიშვილი, ა. სიგუა, ი. მესხი, ვ. ლეჟავა, რ. ზაალიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ი. მიქელაძეს მისი ძმის

**დევი მიქელაძის**

გარდაცვალების გამო. ქვ. 4370

თამარ და ნათელა ვაჩნაძეები, საშა ფირცხალავა ვგლოვობთ საყვარელ და ძვირფას მეგობრის და სიძის

**დევი მიქელაძის**

დაკარგვას. პანაშვიდი დღეს 7½ საათზე, კურსანტების ქუჩა № 4 ქვ. 4373

უახლოესი ამხანაგები: მ. იბაკელია, ბ. ბალავაძე, ა. ბუხნიკაშვილი, ი. ვეკუა, გ. თვალთვაძე, შ. ოქროპირიძე, გ. ფრანგიშვილი, ვ. ქებულაძე, ა. ცხაკაია, შ. ძიძიგური ღრმად მწუხარებას გამოსთქვამენ საუკეთესო მეგობრის, ახალგაზრდა მეცნიერის

**დევი მიქელაძის**

უდროოდ გარდაცვალების გამო. ქვ. 4358

ლენინგრადში მყოფ მეგობართა ჯგუფი. ვიქ. კუპრაძე, ს. ჯიქია, ჟ. ჩხოტუა, გრ ჩხიკვაძე, შ. მიქელაძე და დ. დოლიძე გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას ნიჭიერ ახალგაზრდა გეოლოგის

**დევი მიქელაძის**

ლენინგრადში უდროვოდ დაღუპვის გამო. ქვ. 4414

ელისაბედ და ილია გარსევანიშვილები შვილებით: მარიამი, დიმიტრი, რძალი მათიკო ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი

**ლევან გარსევანიშვილის**

გარდაცვალების გამო. გამოსვენება დღეს მიხეილის საავადმ. პროზექტურიდან 5 ს. ქვ. 4420.

სტალინის სახელობის კომსახლთა ტრესტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამხ. მარგალიტას მამის

**გალაქტიონ ჯიბოს-ძე გოცირიძის**

გარდაცვალების გამო. გამოსვენება 23 ივლისს 5 ს. ალექსანდრეს საავადმყოფოდან ვერის სასაფლაოზე ქვ. 4417

ეკატერინე, თევდორე, ცუცა და ნუნუ, ქარციეაძეები იუწყებიან

**ლევან ნიკოლ.-ძე გარსევანიშვილი**

გარდაცვალებას; გამოსვენება დღეს 23 ივლისს ნაშუადღევის 5½ ს; ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს პროზექტურიდან ვერის სასაფლაოზე ქვ. 4418

მარიამ, ნიკოლოზ, იოსებ, სოფიო, მარგალიტა, ნინო და ვარა გარსევანიშვილები იუწყებიან

**ლევან ნიკოლ.-ძე გარსევანიშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 23 ივლისს 5½ ს. ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს პროზექტურიდან ვერის სასაფლაოზე ქვ. 4419

სახალხოსტანის დამზადების კანტორის და ცეკავშირის დახურულ კოოპერატივის თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ორგანიზაციის თანამშრომლის

**ივანე აკოფოვის**

გარდაცვალების გამო, პანაშვილი დღეს გამოსვენება 5 ს. გურჯაანის ჩიხი № 5, (ავლაბარი) ავლაბრის სასაფლაოზე ქვ. 4416

გულდამწვარი ქმარი ალექსანდრე, დედამთილი მარიამი, მაზლები დავითი, ისაკი ქუტურიები, სიძე დიანოზ შენგელია ოჯახით იუწყებიან საყვარელი

**ძაბა მამფორიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. გარახში 24 ივლისს. ანგ. 439

დამწუხრებული გიორგი ბერიძე შვილით ვოლოდიათი იუწყებიან პირველის შვილიშვილის და მეორეს დისშვილის უძვირფასესი პატარა

**თენგიზ ბარბაქაძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 24 ივლისს ბინიდან, პლეხანოვის პროსპ. 80, ვერის სასაფლაოზე 6 საათზე. ქვ. 4393

შვილები: სარა შვილებით, აგრაფინა ქმარშვილით, ფოცია, ელიჩქა, ალექსანდრე მეუღლით, ნინა ქმარშვილით, რაფაელი, სოფიკო, ქმარშვილით იუწყებიან რომ 24 ივლისს ზესტაფონში დანიშნულია დაუვიწყარი დედის

**ნატალია ქურციკიძის**

სამოქ. პანაშვილი. ქვ. 4407

გულმოკლული მშობლები: ელისაბედი, დიმიტრი, დები: ნადია, ქეთო, ლიდა; ძმა კოლია იუწყებიან, რომ

**ვანიჩქა დიმიტრის-ძე მანაგაძის**

ხსოვნის აღსანიშნავად 24 ივლისს 6 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი. ქვ. 4397

აჭარისტანის დამცველთა კოლექტივი მწუხარებით იუწყებიან დამცველთა კოლექტივის წევრის

**დიმიტრი გიორგის-ძე ჩიჩუას**

უდროოდ გარდაცვალებას. ქვ. 4403

თავზარდაცემული მეუღლე ალი, შვილი გულვერით აუწყებს საზოგადოებას საყვარელი მეგობრის

**ელენე მანჯავიძე—ნასუაშვილის**

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა სტალინისში 24 ივლისს. ქვ. 4398

უახლოესი მეგობრები ე. კორძაია, ბ. ჩხეიძე, გ. მეფარიშვილი, მ. კვანტალიანი, ვ. ბუჩუკური, გ. არუთინოვი, შ. ჩაჩიბაია მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას საუკეთესო მეგობრის

**მამია ანთელავას**

გარდაცვალებას. ქვ. 4399

დარო და მათე იახქოშვილები შვილებით და შვილიშვილებით ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი ძმის და ბიძის

**შაქრო (დიმიტრი) ბილანიშვილის**

გარდაცვალებას. ქვ. 4412

დედა, მეუღლე მარო, შვილი სანდრო, ძმები: ვლადიმერი, ლონგინოზი, კოლია, პარმენი, გერონტი; დები: სონია, ლიზა, პავლე ჭელიძე იუწყებიან

**სიმონ მალაქიას-ძე სტაჟაძის**

დაღუპვას. დაკრძალვა მოხდა ბათომში 19 ივლისს. ქვ. 4424

ობლები მუნიკა, რეზო, თამრიკო, და მწუხარებული დედა ფაჩუ, დები: ლოლა, ლიდია, ანტიოფი, ფატი, ქეთო, მამა დანიელი იუწყებიან ძვირფას

**მამია ანთელავას**

გარდაცვალებას. გამოსვენება 24 ივლისს, 6 ს. კოროლენკოს ქ. № 9. ქვ. 4392

უახლოესი მეგობრები: დ. კიკნაძე, გ. ბურაია, პ. ჩხიკვაძე, შ. ღლონტი, ვ. ბოკუჩავა, დ. ჯავახიშვილი, მ. თოფურია, ნ. ივანიშვილი და ვ. ჭირაქაძე თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. იოსებ რუბჩისს მისი დის

**ბარბალე რუბჩისი—მანიას**

უდროოდ გარდაცვალების გამო. ქვ. 4401

დამწუხრებული მშობლები ექიმი მარგალიტა ყიფიანი, ლონგინოზ რუხაძე უღრმეს მადლობას უცხადებენ იმ პირთ ვინც პატივი სცეს მათი ძვირფასი დაუვიწყარი

**პატარა ნინიკოს**

ხანმოკლე ავადმყოფობის და დაკრძალვის დროს. ქვ. 4402


სტამბა „კომუნისტი“, კიროს ქ. № 64

მთავლიტის რწმუნებული ჩ—256